ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 63
23/07/2019

63-07-2-201907231746

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან

დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და

სოციალური დაცვის მინისტრს

ქალბატონ **ეკატერინე ტიკარაძეს**

ქალბატონო ეკატერინე,

მოგახსენებთ, რომ როგორი გლობალური ინფრასტრუქტურული პროექტებიც არ უნდა განხორციელდეს მუნიციპალიტეტში, თუ ერთ-ერთი სერვისი, როგორიც ჯანდაცვაა არ არის თანამედროვე სტანდარტის შესაბამისი, მოსახლეობის მიგრაციას ვერ შევაჩერებთ. 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგი საგანგაშო ნიშნულია, თითქმის 35%-იანი კლებაა მოსახლეობის. მუნიციპალიტეტში 2018 წელს დაიბადა 38 ბავშვი, ხოლო გარდაცვალების მაჩვენებელი - 172 იყო. პერინატალური რეგიონალიზაციის პროექტის დაწყების წინ, გვქონდა შეხვედრები ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან და განვმარტეთ თუ რა საშიშროების წინაშე დადგებოდა მოსახლეობა, მაგრამ შედეგი მივიღეთ ის, რომ ონში გაუქმდა სამშობიარო განყოფილება, რამაც მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია.

ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დიდი პროცენტი ხანდაზმულია, სადაც ძირითად დაავადებას გულსისხლძარღვთა ქრონიკული დაავადება წარმოადგენს. თანამედროვე სტანდარტით მოთხოვნაა ამ დაავადების დროს გულის ექოკარდიოგრაფიული კვლევა, რისი სპეციალისტიც ონის საავადმყოფოს არ ჰყავს, აქედან გამომდინარე ამ დარგსაც საშიშროება ელის მით უფრო, რომ ვერ ტარდება სტანდარტით განსაზღვრული აუცილებელი ლაბორატორიული კვლევები. მუცლის ღრუს ექოსკოპისტიც კი კვირაში ერთჯერ ემსახურება პაციენტებს მეზობელი მუნიციპალიტეტიდან. გარწმუნებთ, რომ რამდენჯერმე სამედიცინო კვლევის გამო სხვა ქალაქში გადაადგილებული მოქალაქე იძულებული ხდება დატოვოს ქალაქი, რაც კიდევ მეტად ზრდის მიგრაციას.

ქ. ონი დავით აღმაშენებლის მოედანი N1 ტელ. 595 98 05 47
e-mail: onis.mun@gmail.com; onissakrebulo@gmail.com

მთის კანონი ითვალისწინებს არა მარტო მთაში მყოფთა ადგილზე შენარჩუნებას, არამედ ბარიდან მთისკენ გადაადგილებას. ამ სერვისის გაუმართავად მუშაობა მიგრაციის პრობლემის გადაჭრაში ვერ დაგვეხმარება. განათლების სამინისტროს აქვს პროექტი - მასწავლებელთა მთიან რეგიონში დასაქმება, ხომ ვერ მოხერხდება ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მსგავსი პროექტის შემუშავება, რაც რეგიონებში სპეციალისტების მივლინებით გამოიხატება.

ვიწრო სპეციალისტები, როგორიცაა: რენდგენოლოგი, ექოსკოპისტი, ენდოკრინოლოგი ადგილზე არ გვყავს, რაც აფერხებს პირველადი ჯანდაცვის სტანდარტის შესრულებას. უკვე რამდენიმე წელია სტაციონარში ქირურგიული ოპერაციები არ ჩატარებულა, ვინაიდან არ არის მეორე ქირურგი, ანესთეზიოლოგი.

განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ არის ავადმყოფი, როდესაც ესაჭიროება რეფერალი მისი მძიმე მდგომარეობის გამო. აუცილებელია რეგიონს ჩვენი რელიეფის და სასაზღვრო სტატუსის გამო ადგილზე ემსახურებოდეს რეანიმობილი.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ რეგიონში სამედიცინო სფეროში არსებული პრობლემები და შეძლებისდაგვარად დაგვეხმაროთ.

პატივისცემით,

შუქურა ჯაფარიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო